



საქართველოს თავდაცვის მინისტრის  
ბრძანება

ქ. თბილისი



MOD 2 17 00000505

27/06/2017

**ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების სტანდარტის დამტკიცების შესახებ**

„საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 22 ნოემბრის №297 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:**

1. დამტკიცდეს თანდართული „ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების სტანდარტი“.
2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

მინისტრი  
ლევან იზორია

## ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების სტანდარტი

### მუხლი 1. ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების აღწერა

1. ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლება ეფუძნება „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“, „სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ“, „უმალესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონებს, თავდაცვის მინისტრის ხელდასმულ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალების განათლებისა და საბრძოლო მომზადების კონცეფციას და შეიარაღებული ძალების განათლებისა და საბრძოლო მომზადების სტრატეგიას, საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის საორგანიზაციო მითითებებს.

2. წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების დამატებითი პროგრამის (minor) საერთო საჯარისო მართვის, უმცროსი ოფიცრის საკანდიდატო მომზადების და რეზერვის უმცროსი ოფიცრის მომზადების პროგრამის ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების სტანდარტს.

3. საწყისი სამხედრო განათლების პროგრამებზე მიიღება:

ა) საბაკალავრო საგანმანათლებლო დამატებით პროგრამაზე (minor) – (საერთო საჯარისო მართვა) მიიღებიან - სრული ზოგადი განათლების მქონე აბიტურიენტები, რომლებიც დარეგისტრირდებიან სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში, ჩააბარებენ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ გამოცდებს, ტესტირებას ფიზიკურ მომზადებაში, გაივლიან სამედიცინო და ფსიქოლოგიურ შემოწმებას, გასაუბრებას შესაბამის კომისიასთან, ჩაირიცხებიან საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიაში იუნკერებად;

ბ) უმცროსი ოფიცრის საკანდიდატო მომზადების პროგრამაზე მიიღებიან - უმალესი განათლების მქონე: სამოქალაქო პირები და საკონტრაქტო (პროფესიულ) სამხედრო სამსახურში მყოფი სამხედრო მოსამსახურეები - რიგითები, კაპრალეები და სერჟანტები, რომლებიც გაივლიან სამედიცინო და ფსიქოლოგიურ შემოწმებას, ტესტირებას ფიზიკურ მომზადებაში, გასაუბრებას ან/და ტესტირებას;

გ) რეზერვის უმცროსი ოფიცრის მომზადების პროგრამაზე მიიღებიან - საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ჩაირიცხნენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ავტორიზებულ უმალეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გაივლიან სამედიცინო და ფსიქოლოგიურ შემოწმებას, ტესტირებას ფიზიკურ მომზადებაში და გასაუბრებას.

### მუხლი 2. განათლების გაგრძელების შესაძლებლობა

ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების შესაბამისი პროგრამის დამთავრების შემდეგ მსმენელები/იუნკერები სწავლას განაგრძობენ სამხედრო განათლების კონცეფციის საფეხურებრივი განათლების სისტემის შესაბამისად, ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებზე.

### მუხლი 3. პროგრამაზე ჩარიცხვის დამატებითი მოთხოვნები

- ა) პროგრამაზე მისაღები კანდიდატების ასაკი განისაზღვრება თავდაცვის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით;
- ბ) პროგრამის დაწყებამდე საწყისი საბრძოლო მომზადების კურსის (BCT) გავლა (სამოქალაქო პირებისათვის).

### მუხლი 4. საგანმანათლებლო პროგრამა

1. ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების პროგრამის მიზანია იუნკერებს/მსმენელებს მისცეს საბაზისო ცოდნა ოფიცრის ძირითადი სამხედრო განათლების I საფეხურზე სწავლის გასაგრძელებლად, მოამზადოს საქართველოს შეიარაღებული ძალების, ქვეყნის ერთგული და სამხედრო სამსახურისთვის უმაღლესი აკადემიური და სამხედრო განათლების, მაღალი ეთიკის, მტკიცე მორალის და ლიდერის თვისებების მქონე ოფიცრები, მომავალზე ორიენტირებული ქვედანაყოფის მეთაურები შესაბამისი კომპეტენციებით, რაც საშუალებას მისცემს მათ წარმატებით გაართვან თავი მათზე დაკისრებულ დავალებებსა და ამოცანებს, დაიმკვიდრონ თავი საქართველოს შეიარაღებულ ძალებში და აქტიური მონაწილეობა მიიღონ ქვეყნისა და შეიარაღებული ძალების გაძლიერებაში. ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების პროგრამის ამოცანაა ისეთი სასწავლო პროცესის ორგანიზება, რომლის საფუძველზეც მოხდება შეიარაღებული ძალების მოთხოვნილებების გათვალისწინებით ოფიცრების მომზადება.

2. ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების პროგრამაში შედის:

- ა) თეორიის კომპონენტი;
- ბ) პრაქტიკის კომპონენტი;
- გ) საგამოცდო კომპონენტი;
- დ) დამოუკიდებელი მუშაობის კომპონენტი;
- ე) თვითმომზადების კომპონენტი;
- ვ) ადმინისტრაციული დროის კომპონენტი;
- ზ) საჯარისო პრაქტიკის (სტაჟირების) გავლა 1 (ერთ) თვემდე ხანგრძლივობით.

მუხლი 5. ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების კვალიფიკაციის აღწერა

კურსდამთავრებულმა უნდა იცოდეს	კურსდამთავრებულს უნდა შეეძლოს
<p><b>1. ცოდნა და გაცნობიერების უნარი:</b></p> <p>სამხედრო სფეროს ძირითადი პრინციპების, პროცესებისა და ძირითადი სახელმძღვანელო დოკუმენტების ზოგადი ცოდნა, შეძლოს შესაბამისი სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.</p>	<p><b>1. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</b></p> <p>წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად, სამხედრო მოსამსახურემ უნდა შეძლოს შესაბამისი სფეროსათვის დამახასიათებელი უნარების სპექტრის გამოყენება, დავალებების შესასრულებლად სხვადასხვა მიდგომების და მეთოდების შეფასება. მიღებული ამოცანიდან გამომდინარე უნდა იმოქმედოს პირობებისა და სტანდარტების შესაბამისად.</p>
<p><b>2. ტაქტიკურ მომზადებაში:</b></p> <p>ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების სტრუქტურა, დანიშნულება, ამოცანები;</p> <p>ბ) ტაქტიკის საფუძვლები (საველე წესდება ქვეითი ათეული, ოცეული);</p> <p>გ) ჯარისკაცის ინდივიდუალური დავალებები I დონე - დავალება, პირობა, სტანდარტი;</p> <p>დ) ქვეითი ჯგუფის, ათეულის მოქმედებები ბრძოლის ველზე;</p>	<p><b>2. ტაქტიკურ მომზადებაში:</b></p> <p>ა) ტაქტიკის საფუძვლებში შესწავლილი მასალის გამოყენება;</p> <p>ბ) სამხედრო მოსამსახურის ინდივიდუალური დავალებების შესრულება I დონეზე;</p> <p>გ) ქვეითი ჯგუფის, ათეულის მართვა ბრძოლის ველზე;</p> <p>დ) ტაქტიკური გადაადგილების განხორციელება ოცეულის დონეზე;</p> <p>ე) ცეცხლის მართვა და კონტროლი ოცეულის დონეზე;</p> <p>ვ) საბრძოლო ფუნქციების გამოყენება ოცეულის დონეზე;</p> <p>ზ) ოცეულის დონეზე ოპერატიული ბრძანების მომზადება,</p>

<p>ე) ტაქტიკური გადაადგილების ხერხები და ფორმები ოცეულის დონეზე;</p> <p>ვ) ოცეულის ცეცხლის დაგეგმვისა და გამოყენების პრინციპები;</p> <p>ზ) საბრძოლო ფუნქციების ელემენტები და მათი დანიშნულება ოცეულის დონეზე;</p> <p>თ) მართვა, კონტროლი და ქვედანაყოფის მართვის პროცედურები;</p> <p>ი) თავდასხმითი და თავდაცვითი ოპერაციების პრინციპები და დაგეგმვა ოცეულის დონეზე;</p> <p>კ) პატრულირების ხერხები და ფორმები;</p> <p>ლ) ოცეულის მიერ წყლისმიერი დაბრკოლების გადალახვისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება;</p> <p>მ) ტაქტიკური ნიშნები და ქვეითი ოცეულის ტაქტიკური დავალებები;</p> <p>ნ) ადგილმდებარეობის მაკეტის დანიშნულება, მოწყობის ხერხები და პრინციპები;</p> <p>ო) რეპეტიციის არსი და ჩატარების მეთოდები.</p>	<p>გაცემა, განხორციელება და კონტროლი;</p> <p>თ) უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელება;</p> <p>ი) თავდასხმით, თავდაცვით, საპატრულო ოპერაციების განხორციელება ოცეულის დონეზე;</p> <p>კ) სამუშაო რუკის მომზადება და ტაქტიკური ვითარების ასახვა, ადგილმდებარეობის მაკეტის მოწყობა საველე პირობებში;</p> <p>ლ) ტაქტიკური მოქმედებების რეპეტიციის მომზადება და ჩატარება.</p>
<p><b>3. საცეცხლე მომზადებაში:</b></p> <p>ა) ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის დანიშნულება, ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები;</p> <p>ბ) სასროლი იარაღითა და ყუმბარსატყორცნებით სროლის კურსის მოთხოვნები, სავარჯიშოების შესრულებისა და უსაფრთხოების წესები;</p>	<p><b>3. საცეცხლე მომზადებაში:</b></p> <p>ა) სასროლი იარაღითა და ყუმბარსატყორცნებით სროლის კურსის მოთხოვნების შესრულება უსაფრთხოების წესების დაცვით და ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღების საბრძოლო გამოყენება;</p> <p>ბ) ოცეულის სასროლი იარაღების ნორმალურ მოხვედრამდე</p>

<p>გ) ქვეითი ოცეულის ცეცხლსასროლი იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლის წესები.</p>	<p>მიყვანა, ტექნიკური მომსახურება, გაუმართაობის თავიდან აცილება, დადგენა და აღმოფხვრა; გ) ოცეულის საბრძოლო სროლების მომზადება და ჩატარება.</p>
<p><b>4. სამხედრო საინჟინრო მომზადებაში:</b></p> <p>ა) საინჟინრო უზრუნველყოფის ამოცანები და საინჟინრო ქვედანაყოფები; ბ) ფორტიფიკაციული ნაგებობები, მათი დანიშნულება და მოწყობის წესები; გ) ქვეითთა და ტანკსაწინააღმდეგო ნაღმების ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები და გამოყენების წესები; დ) საინჟინრო დაბრკოლებების სახეობები და გამოყენების პრინციპები; ე) აფეთქების ხერხები და საშუალებები; ვ) ქვეითი ქვედანაყოფებისთვის გამოყენებადი დანალმული ველის მოწყობა და ფორმულიარის შევსება; ზ) უსაფრთხოების ზომები საინჟინრო საქმეში.</p>	<p><b>4. სამხედრო საინჟინრო მომზადებაში:</b></p> <p>ა) ოცეულის ზომის ქვედანაყოფის პოზიციების, საყრდენი პუნქტების საინჟინრო მოწყობა და შენიღბვა; ბ) არაფეთქებადი და ფეთქებადი დაბრკოლებების მოწყობა; გ) მცირე ასაფეთქებელი მუხტების მომზადება; დ) საინჟინრო ქვედანაყოფების მხარდაჭერით არაფეთქებადი და ფეთქებადი დაბრკოლებების გადალახვა.</p>
<p><b>5. კავშირგაბმულობაში:</b></p> <p>ა) სამხედრო კავშირგაბმულობის სისტემები; ბ) რადიოკავშირი და რადიოტალღების გავრცელების საფუძვლები; გ) ხმოვანი კავშირის წარმოების პრინციპები; დ) რადიოსადგურების ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლები და მათთან მუშაობის წესები;</p>	<p><b>5. კავშირგაბმულობაში:</b></p> <p>ა) სამხედრო კავშირგაბმულობის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესრულება; ბ) ხმოვანი კავშირის წარმოების პროცედურების განხორციელება; გ) ხელის და გადასატანი რადიოსადგურების გამოყენება; დ) უსაფრთხოების წესების დაცვა კავშირგაბმულობის</p>

<p>ე) ელექტრონული ბრძოლისა და დაცვის საფუძვლები; ვ) კავშირის უსაფრთხოების მოთხოვნები.</p>	<p>საშუალებებზე მუშაობის დროს; ე) კავშირის უსაფრთხოების წესების დაცვა.</p>
<p><b>6. საარტილერიო მომზადებაში:</b></p> <p>ა) საარტილერიო შეიარაღება, დანიშნულება, ტექნიკურ-ტექნიკური მახასიათებლები; ბ) არტილერიის ქვედანაყოფების სტრუქტურა; გ) საარტილერიო ქვედანაყოფების საბრძოლო შესაძლებლობები; დ) საარტილერიო საცეცხლე მხარდაჭერის არსი და საფუძვლები.</p>	<p><b>6. საარტილერიო მომზადებაში:</b></p> <p>საარტილერიო ცეცხლის გამოძახება და კორექტირება.</p>
<p><b>7. ჯავშანსატანკო მომზადებაში:</b></p> <p>ა) ჯავშანსატანკო შეიარაღების და ტექნიკის დანიშნულება, ტექნიკურ-ტექნიკური მახასიათებლები; ბ) ჯავშანსატანკო შეიარაღების და ტექნიკის საერთო მოწყობილობა; გ) ჯავშანსატანკო ქვედანაყოფების სტრუქტურა, დანიშნულება და ამოცანები.</p>	<p><b>7. ჯავშანსატანკო მომზადებაში:</b></p> <p>ჯავშანსატანკო შეიარაღების, ტექნიკის ამოცნობა და მათთან ურთიერთქმედება.</p>
<p><b>8. საავიაციო მომზადებაში:</b></p> <p>ა) საფრენი აპარატების და ქართული ავიაციის განვითარების ისტორია;</p>	<p><b>8. საავიაციო მომზადებაში:</b></p> <p>საფრენი აპარატების ამოცნობა.</p>

<p>ბ) ავიაციის ნაწილების, ქვედანაყოფების სტრუქტურა, დანიშნულება და ამოცანები;</p> <p>გ) საფრენი აპარატების კლასიფიკაცია და გამოყენების პრინციპები.</p>	
<p><b>9. საჰაერო თავდაცვაში:</b></p> <p>ა) საჰაერო თავდაცვის საშუალებები;</p> <p>ბ) საჰაერო თავდაცვის ნაწილების, ქვედანაყოფების სტრუქტურა, დანიშნულება და ამოცანები;</p> <p>გ) გადასატანი საზენიტო სარაკეტო კომპლექსები და მათი გამოყენების წესები.</p>	<p><b>9. საჰაერო თავდაცვაში:</b></p> <p>ა) მოქმედებები მოწინააღმდეგის საჰაერო დარტყმების შემთხვევაში;</p> <p>ბ) საჰაერო თავდაცვის პასიური ზომების განხორციელება.</p>
<p><b>10. რადიოელექტრონულ ბრძოლაში:</b></p> <p>რადიოელექტრონული ბრძოლის საშუალებები, ქვედანაყოფების სტრუქტურა, დანიშნულება და ამოცანები.</p>	<p><b>10. რადიოელექტრონულ ბრძოლაში:</b></p>
<p><b>11. სამხედრო ტოპოგრაფიაში:</b></p> <p>ა) ადგილმდებარეობის ტაქტიკური თვისებები და მათი გამოყენება;</p> <p>ბ) ტოპოგრაფიული რუკები და მათთან მუშაობის წესები;</p> <p>გ) ორიენტირება რუკაზე და ადგილმდებარეობაზე, მარშრუტის განსაზღვრა და დაგეგმვა;</p> <p>დ) კომპიუტერული ტოპოგრაფიული პროგრამების არსი და</p>	<p><b>11. სამხედრო ტოპოგრაფიაში:</b></p> <p>ა) რუკაზე და ადგილმდებარეობაზე გაზომვების ჩატარება;</p> <p>ბ) ტოპოგრაფიული რუკების წაკითხვა და ადგილმდებარეობის შეფასება;</p> <p>გ) რუკაზე და ადგილმდებარეობაზე ორიენტირება;</p> <p>დ) კომპიუტერული ტოპოგრაფიული პროგრამის და პოზიციონირების გლობალური სისტემის (GPS) გამოყენება;</p>



<p>დანიშნულება;</p> <p>ე) პოზიციონირების გლობალური სისტემის (GPS) დანიშნულება და მუშაობის პრინციპი.</p>	<p>ე) სახმელეთო ნავიგაციის განხორციელება.</p>
<p><b>12. საბრძოლო მომზადების ორგანიზებაში:</b></p> <p>ა) საბრძოლო მომზადების ორგანიზების არსი და ძირითადი საფუძვლები;</p> <p>ბ) მეცადინეობის დაგეგმვისა და ჩატარების მეთოდოლოგია;</p> <p>გ) ინდივიდუალური, ათეულის, ოცეულის შეფასების წესი;</p> <p>დ) მეთაურების და სერჟანტების როლი საბრძოლო მომზადებაში;</p> <p>ე) მოქმედების შემდგომი განხილვის მიზანი, ტიპები, დაგეგმვა და ჩატარების მეთოდები;</p> <p>ვ) სასწავლო შეხვედრების მიზნები და შეხვედრებზე განსახილველი საკითხები;</p> <p>ზ) ასეულის აუცილებელ დავალებათა ნუსხის მხარდამჭერი ოცეულის გადამწყვეტი დავალებების და საბრძოლო ვარჯიშების შერჩევა.</p>	<p><b>12. საბრძოლო მომზადების ორგანიზებაში:</b></p> <p>ა) საბრძოლო მომზადების სახელმძღვანელო და სააღრიცხვო დოკუმენტების წარმოების წესის თანახმად, ოცეულში და ასეულში საწარმოებელი არასაიდუმლო დოკუმენტაციის წარმოება;</p> <p>ბ) სახმელეთო ჯარების საბრძოლო მომზადების და შეფასების პროგრამის გამოყენება;</p> <p>გ) პირადი შემადგენლობის შეფასება ჯარისკაცის ინდივიდუალური დავალებების სახელმძღვანელოს სტანდარტებით;</p> <p>დ) მოქმედების შემდგომი განხილვის ჩატარება;</p> <p>ე) სასწავლო შეხვედრების ორგანიზება და ჩატარება;</p> <p>ვ) ასეულის აუცილებელ დავალებათა ნუსხის მხარდამჭერი ოცეულის გადამწყვეტი დავალებებში სწავლების და საბრძოლო ვარჯიშების ჩატარება;</p> <p>ზ) თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობების მომზადება და ჩატარება.</p>
<p><b>13. საერთო საჯარისო დაზვერვაში:</b></p> <p>ა) საერთო საჯარისო დაზვერვის მიზანი და ამოცანები, სრული სპექტრის ოპერაციებში;</p> <p>ბ) სავარაუდო მოწინააღმდეგის ქვედანაყოფების (საჰაერო,</p>	<p><b>13. საერთო საჯარისო დაზვერვაში:</b></p> <p>ა) სავარაუდო მოწინააღმდეგის შესახებ სადაზვერვო მოხსენებების გაკეთება;</p> <p>ბ) რეკოგნოსციების პატრულის განხორციელება;</p>

<p>ქვეითი, მოტომსროლელი, მექანიზებული, სატანკო, საარტილერიო, სადესანტო) სტრუქტურა, ტექნიკა, შეიარაღება და ამოსაცნობი ნიშნები;</p> <p>გ) სადაზვერვო მოხსენებების ფორმატი და მეთოდები.</p>	<p>გ) მოწინააღმდეგის ტაქტიკური ვითარების ასახვა რუკაზე.</p>
<p><b>14. ლოგისტიკურ უზრუნველყოფაში:</b></p> <p>ა) ლოგისტიკის ზოგადი დებულებები;</p> <p>ბ) ლოგისტიკის ძირითადი პრინციპები და სფეროები;</p> <p>გ) უზრუნველყოფის და შევსების ოპერაციები;</p> <p>დ) ლოგისტიკური ქონების კლასები და ნორმები;</p> <p>ე) ასეულის მეურნეობა, სამხედრო მოსამსახურეთა განლაგება საყაზარმე და საველე პირობებში, კვების ორგანიზება;</p> <p>ვ) არსებული შეიარაღების საბრძოლო კომპლექტი;</p> <p>ზ) საბრძოლო მასალების და შეიარაღების მოვლისა და შენახვის პირობები/სტანდარტები;</p> <p>თ) ბატალიონის უზრუნველყოფის ელემენტები.</p>	<p><b>14. ლოგისტიკურ უზრუნველყოფაში:</b></p> <p>ა) სახელმძღვანელო დოკუმენტების გამოყენება;</p> <p>ბ) ლოგისტიკური კლასების მიხედვით მოთხოვნის ბარათების შევსება;</p> <p>გ) ასეულში არსებული შეიარაღების საბრძოლო კომპლექტის, საბრძოლო მასალების, შეიარაღების მიღება-ჩაბარება და შენახვა.</p>
<p><b>15. სამხედრო ხელოვნების ისტორიაში:</b></p> <p>ა) მსოფლიო სამხედრო ხელოვნების განვითარების ძირითადი ეტაპები;</p> <p>ბ) საქართველოს სამხედრო ისტორიის პერიოდიზაცია;</p> <p>გ) სამხედრო საქმე ანტიკური პერიოდის საქართველოში;</p> <p>დ) სამხედრო საქმე ფეოდალურ საქართველოში;</p>	<p><b>15. სამხედრო ხელოვნების ისტორიაში:</b></p> <p>ბრძოლების მოკლე შინაარსი და ანალიზი.</p>

<p>ე) პირველი და მეორე მსოფლიო ომები, სიახლეები ტაქტიკაში;</p> <p>ვ) საქართველოს პირველი რესპუბლიკის შექმნის ისტორია;</p> <p>ზ) ქართული ჯარის ჩამოყალიბების ისტორია;</p> <p>თ) 1921 წლის საბრძოლო მოქმედებები თბილისის და კოჯორ-ტაბახმელას მიმართულებით;</p> <p>ი) ომების ტრანსფორმაცია (პარტიზანული, ასიმეტრიული და ჰიბრიდული ომები).</p>	
<p><b>16. სამხედრო ხელმძღვანელობაში:</b></p> <p>ა) სამხედრო ლიდერობის საფუძვლები;</p> <p>ბ) მეთაურობა, მართვა და ლიდერობა;</p> <p>გ) ლიდერის პიროვნული მახასიათებლები და ძირითადი უნარები;</p> <p>დ) ეთიკური ლიდერის არსი და პრინციპები;</p> <p>ე) სამხედრო ეტიკეტი მეთაურის საქმიანობაში.</p>	<p><b>16. სამხედრო ხელმძღვანელობაში:</b></p> <p>ოცეულის ზომის ქვედანაყოფის მართვა და გუნდური მუშაობა.</p>
<p><b>17. შეიარაღებული კონფლიქტების სამართალში:</b></p> <p>ა) შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის განსაზღვრება და ძირითადი პრინციპები;</p> <p>ბ) კავშირი შეიარაღებულ ძალებსა და შეიარაღებული კონფლიქტების სამართალს შორის;</p> <p>გ) შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის დებულებების შესრულების აუცილებლობა და მათი ინტეგრირება საბრძოლო მომზადებაში;</p> <p>დ) პირთა და ობიექტთა ძირითადი კატეგორიები;</p> <p>ე) პირები და ობიექტები, რომლებიც განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ;</p>	<p><b>17. შეიარაღებულ კონფლიქტების სამართალში:</b></p> <p>მოქმედებები შეიარაღებული კონფლიქტების სამართლის ნორმების დაცვით.</p>

<p>ვ) ომის მსხვერპლთან მოპყრობის წესები.</p>	
<p><b>18. სამხედრო ადმინისტრაციაში:</b></p> <p>ა) სამსახურებრივი დოკუმენტები, მათი შედგენის და გაფორმების წესები;</p> <p>ბ) „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებული ნორმატიული აქტების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N 507 დადგენილება;</p> <p>გ) ოცეულის/ ასეულის პირადი შემადგენლობის აღრიცხვა;</p> <p>დ) საჯარისო სამსახურის ორგანიზება.</p>	<p><b>18. სამხედრო ადმინისტრაციაში:</b></p> <p>ა) სამსახურებრივი დოკუმენტების წარმოება და სარგებლობა;</p> <p>ბ) საჯარისო სამსახურის ჩატარება.</p>
<p><b>19. სამხედრო სამართალში (გაცნობის დონეზე):</b></p> <p>სამხედრო სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები.</p>	<p><b>19. სამხედრო სამართალში:</b></p> <p>სამხედრო სფეროს მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების სამსახურებრივ საქმიანობაში გამოყენება.</p>
<p><b>20. თავდაცვა და უსაფრთხოებაში:</b></p> <p>ა) თავდაცვის და უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტები;</p> <p>ბ) თავდაცვის და უსაფრთხოების გარემო;</p> <p>გ) საერთაშორისო ურთიერთობები და ორგანიზაციები.</p>	<p><b>20. თავდაცვა და უსაფრთხოებაში:</b></p>
<p><b>21. პირველ სამედიცინო დახმარებაში:</b></p>	<p><b>21. პირველ სამედიცინო დახმარებაში:</b></p>

<p>ა) პირადი ჰიგიენა;  ბ) დაშავებულის შეფასება;  გ) ზემო სასუნთქი გზების, გულმკერდისა და ფილტვების დაზიანების ამოცნობა;  დ) გულ-ფილტვის რეანიმაცია;  ე) მოქმედებები მოტეხილობის, სისხლდენის შოკის დროს;  ვ) მაღალი და დაბალი ტემპერატურით გამოწვეული დაზიანებები და მათზე რეაგირება;  ზ) დაშავებულის ევაკუაცია, გადაყვანის მეთოდები და ხერხები;  თ) სამედიცინო ევაკუაციის მოთხოვნა „9 ხაზიანი“ ფორმატის მიხედვით.</p>	<p>ა) პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;  ბ) დაჭრილთა და დაღუპულთა ევაკუაციის ორგანიზება.</p>
<p><b>22. მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვაში:</b></p> <p>ბირთვული, ქიმიური, ბიოლოგიური, ცეცხლგამჩენი იარაღები, დამაზიანებელი ფაქტორები და დაცვის ხერხები.</p>	<p><b>22. მასობრივი დაზიანების იარაღისაგან დაცვაში:</b></p> <p>ა) მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების შემთხვევაში ქვედანაყოფში შესაბამისი მოქმედებების ორგანიზება;  ბ) მასობრივი დაზიანების იარაღის გამოყენების შემთხვევაში ინდივიდუალური დამცავი საშუალებების გამოყენება.</p>
<p><b>23. პერსონალის მართვაში:</b></p> <p>ა) პირადი შემადგენლობის მართვის სისტემების ზოგადი მიმოხილვა, კონტრაქტების და ხელშეკრულებათა დანიშნულება და მათი სახეები;  ბ) საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და შეიარაღებული ძალების სტრუქტურა და დებულება, სამხედრო მოსამსახურეთა შეფასების სისტემა და მისი სახეები;  გ) სააღრიცხვო სპეციალობათა კოდირების სისტემა (MOS) პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობა;  დ) ოფიცრების და სერჟანტების კარიერული განვითარების</p>	<p><b>23. პერსონალის მართვაში:</b></p> <p>ა) პირადი შემადგენლობის შეფასება;  ბ) დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის აღრიცხვიანობა;  გ) ადამიანური რესურსების მართვის ზოგადი პრინციპების გამოყენება ქვედანაყოფის მართვისას.</p>

პრინციპები.	
<p><b>24. საწყის საოფისე პროგრამებში:</b></p> <p>ა) საოფისე კომპიუტერული პროგრამების (Microsoft Word, PowerPoint, Microsoft Excel) ძირითადი ფუნქციები და შესაძლებლობები;</p> <p>ბ) კომპიუტერული უსაფრთხოება მომხმარებლისათვის.</p>	<p><b>24. საწყის საოფისე პროგრამებში:</b></p> <p>ა) Microsoft Word-ში დოკუმენტის შექმნა, ფორმატირება, ცხრილების შექმნა;</p> <p>ბ) Microsoft Excel - ცხრილში მონაცემების შეტანა და ფორმატირება, გამოთვლების ჩატარება, ფორმულების შედგენა, გრაფიკების, დიაგრამების აგება, მონაცემთა ბაზის გაფილტვრა, სორტირება;</p> <p>გ) PowerPoint-პრეზენტაციების მომზადება;</p> <p>დ) კომპიუტერული უსაფრთხოების წესების დაცვა.</p>
<p><b>25. ფსიქოლოგიასა და სამხედრო ეთიკაში:</b></p> <p>ა) ფსიქოლოგიის საგანი და ამოცანები;</p> <p>ბ) ლიდერობის ფსიქოლოგიური ასპექტები;</p> <p>გ) მართვის სოციალური და ფსიქოლოგიური მახასიათებლები;</p> <p>დ) სტრესის ნიშნების ამოცნობა და მისი დაძლევის ტექნიკა;</p> <p>ე) საბრძოლო მოტივაციის განმსაზღვრელი ფაქტორები;</p> <p>ვ) განსხვავება მეზრძოლსა და ჯარისკაცს შორის;</p> <p>ზ) გადახრადი ქცევის ტიპოლოგია. დამოკიდებული ანუ ადიქტიური ქცევა;</p> <p>თ) სამხედრო ეთიკა/ საზოგადოებაში მოქცევის წესები.</p> <p><b>26. ანტიკორუფციულ მომზადებასა და გენდერულ</b></p>	<p><b>25. ფსიქოლოგიასა და სამხედრო ეთიკაში:</b></p> <p>ა) სტრესის ნიშნების ამოცნობა, შეფასება და შესაბამისი ღონისძიებების გატარება;</p> <p>ბ) ფსიქოლოგიური მახასიათებლების მიხედვით, ლიდერის არალიდერისაგან განსხვავება, ჯგუფის შეკვრა;</p> <p>გ) ჯგუფში გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ფსიქოლოგიური ფაქტორების გათვალისწინება;</p> <p>დ) მართვის პროცესში ეფექტიანი ურთიერთობების დამყარება.</p> <p><b>26. ანტიკორუფციულ მომზადებასა და გენდერულ თანასწორობაში:</b></p> <p>ა) ანტიკორუფციული პრინციპების დაცვა;</p> <p>ბ) განსხვავოს გენდერი და სქესი, გენდერული როლებისა და სტერეოტიპების სწორად იდენტიფიცირება;</p>

<p><b>თანასწორობაში:</b></p> <p>ა) კორუფცია და ანტიკორუფციული გარემოს განვითარება თავდაცვის სისტემაში;</p> <p>ბ) სამშვიდობო ოპერაციებში კეთილსინდისიერების გამყარება;</p> <p>გ) უსაფრთხოების სექტორში გენდერული თანასწორობა;</p> <p>დ) გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 და თანმდევი რეზოლუციები.</p>	<p>გ) გენდერული პრინციპების დაცვა;</p> <p>დ) გაეროს უშიშროების საბჭოს 1325 და თანმდევი რეზოლუციების გათვალისწინება საომარ და სამშვიდობო ოპერაციებში.</p>
<p><b>27. სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობები:</b></p> <p>ა) დემოკრატიული კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე;</p> <p>ბ) სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობები ეროვნულ, ინსტიტუციურ და ტაქტიკურ დონეზე.</p>	<p><b>27. სამხედრო სამოქალაქო ურთიერთობები:</b></p>
<p><b>28. ფიზიკურ მომზადებაში:</b></p> <p>პირადი შემადგენლობის ფიზიკური მომზადების მეთოდოლოგია.</p>	<p><b>28. ფიზიკურ მომზადებაში:</b></p> <p>ა) დადგენილი ნორმატივების შესრულება;</p> <p>ბ) დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობის ფიზიკური მომზადების მეცადინეობების დაგეგმვა და განხორციელება.</p>
<p><b>29. წესდებებში:</b></p> <p>წესდებების (შინაგანი სამსახურის, სადისციპლინო, საყარაულო, სამწყობრო) მოთხოვნები.</p>	<p><b>29. წესდებებში:</b></p> <p>წესდებების (შინაგანი სამსახურის, სადისციპლინო, საყარაულო, სამწყობრო) მოთხოვნების შესრულება.</p>

30. დასკვნის უნარი	მიღებული ამოცანის ანალიზი, ხელთარსებული შესაძლებლობებისა და ვითარებიდან გამომდინარე დასაბუთებული დასკვნის გაკეთება და გადაწყვეტილების მიღება ოცეულის მეთაურის კომპეტენციის ფარგლებში.
31. კომუნიკაციის უნარი	<p>ა) საკუთარი გადაწყვეტილებების ფორმულირება პროფესიულ სფეროში დამკვიდრებული ტერმინოლოგიის და ლექსიკური კონსტრუქციების გამოყენებით, მათი ადექვატური, ზეპირი, თუ წერილობითი გადაცემა როგორც ზემდგომებისთვის, ისე დაქვემდებარებულებისთვის;</p> <p>ბ) პროფესიული კომუნიკაცია, მათ შორის საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;</p> <p>გ) ამომწურავი წერილობითი ანგარიშების მომზადება;</p> <p>დ) მიზნობრივ აუდიტორიასთან ურთიერთობა და ცოდნის წარმოჩენა;</p> <p>ე) გუნდური მუშაობისას წევრებს შორის კომუნიკაცია.</p>
32. სწავლის უნარი	<p>ა) საკუთარი განათლების დონის შეფასება და თვითგანვითარების დაგეგმვა;</p> <p>ბ) ცოდნის გაღრმავების მიზნით იმ ძირითადი საკითხების, უნარებისა და მიმართულებების განსაზღვრა, რაც საშუალებას მისცემს ეფექტურად მართოს ოცეულის ზომის ქვედანაყოფი.</p>
33. ღირებულებები	<p>ა) სამხედრო თავაზიანობისა და სუბორდინაციის ნორმების დაცვა და დამკვიდრება;</p> <p>ბ) სამხედრო დისციპლინით განსაზღვრული წესებისადმი პატივისცემა, როგორც სახელმწიფო ძლიერების საფუძველი;</p> <p>გ) მაღალი თვითშეგნება, ნებისმიერ გარემო პირობებში.</p>

### მუხლი 6. პიროვნული თვისებები

სამხედრო მოსამსახურე, რომელმაც გაიარა ოფიცრის საწყისი სამხედრო განათლების პროგრამა, უნდა იყოს ეთიკური, მოტივირებული, კომუნიკაბელური, მოწესრიგებული, კორექტული, პასუხისმგებლობის გრძნობის მქონე და დისციპლინირებული.